პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 46 (5446) | კვირა, 26 თებერვალი 1939 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს, ორდენოსან საქართველოს დედაქალაქ თბილისში გაიხსნება საქართველოს კ. პ. (ბ) XII ყრილობა.

სალამი ყრილობის დელეგატებს, ლენინ-სტალინის პარტიის ერთგულ შვილებს!

# სალამი საქართველოს კ. პ. (ბ) XII ყრილობის დელეგატებს



## საქართველოს ბოლშევიკების XII ყრილობა

საქართველოს ბოლშევიკების XII ყრილობა, რომელიც დღეს გაიხსნება, უმნიშვნელოვანეს ისტორიულ ვითარებაში შეიკრიბება.

ყრილობა მუშაობას იწყებს იმ შესანიშნავ დღეებში, როდესაც ლენინ-სტალინის უძლეველ პარტიასთან ერთად მთელი ჩვენი ქვეყანა განიცდის უმაგალითო პოლიტიკურ აღმავლობას, როცა ბრწყინვალე გამარჯვებას ზეიმობენ მეცნიერული სოციალიზმის გენიალურ ფუძემდებელთა დიადი იდეები, როცა საბჭოთა კავშირი შესულია განვითარების ახალ ხანაში — უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის ხანაში.

საქართველოს ბოლშევიკების რჩეული ადამიანები შეიკრიბნენ ლენინ-სტალინის პარტიის XVIII ყრილობისათვის მზადების იმ დღეებში, როცა ჩვენი პარტია გულმოდგინედ აჯამებს სოციალიზმის ქვეყნის განვლილი გზის დიად შედეგებს, სახავს გრანდიოზულ პერსპექტივებს იმისათვის, რომ ეკონომიურადაც დავეწიოთ და გავუსწროთ ევროპის ყველაზე უფრო განვითარებულ ქვეყნებს და ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომ წარმატებით გადავჭრათ სსრ კავშირის ეს ძირითადი ეკონომიური ამოცანა და ამრიგად ახალი გიგანტური ნაბიჯი გადავდგათ კომუნიზმის სრული გამარჯვების გზაზე.

სტალინური ცენტრალური კომიტეტის ყრილობისწინა დოკუმენტები ამხანაგების ვ. მოლოტოვისა და ა. ჟდანოვის მოხსენებათა თეზისების სახით, რომელთაც საფუძვლიანად განიხილავს საქართველოს ბოლშევიკების ყრილობა — ზღვარული სიზუსტით ასახავენ გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის სიდიადესა და ძლევამოსილებას, ჩვენი პარტიის, როგორც მმართველი პარტიის, ორგანიზაციულ ძლიერებას, მისი როლის შემდგომ ზრდას კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ამ მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტებში ყველაზე უფრო მკვეთრად, ყველაზე უფრო მკაფიოდ ჩანს ლენინურ-სტალინური პოლიტიკის ტრიუმფი, სოციალისტური ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის კოლოსალური წარმატებები, სტალინური გულისხმიერება და მზრუნველობა პარტიის წევრებისადმი, ჩვენი პარტიის შემდგომი განმტკიცებისადმი.

განა ამიტომ არ ჰბადებენ ამხანაგების ვ. მოლოტოვისა და ა. ჟდანოვის მოხსენებათა თეზისები კანონიერი სიამაყის გრძნობას ჩვენი ქვეყნის მილიონებში?

განა ამიტომ არ ნერგავენ ისინი ურყევ რწმენას კომუნიზმის სრული და საბოლოო გამარჯვებისადმი?

სწორედ ეს სიამაყე და აღმაფრენა, ბოლშევიკური პათოსი და რევოლუციური ენთუზიაზმი გამოსჭვიოდა იმ სიტყვებში, რომელიც გაისმოდა პარტიის საქალაქო და რაიონული კონფერენციების ტრიბუნებიდან.

და ამ ტრიბუნებიდან ყველაზე უფრო მხურვალედ, ყველაზე უფრო მგრძნობიარედ გაისმოდა მშობლიური სიტყვა — **სტალინი!** — ვის სამაყო სახელთანაც დაკავშირებულია საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლა სოციალისტური ხუთწლედების ბრწყინვალე დაგეგმვისათვის. იმ ადამიანის სახელი, ვისაც ლენინიზმის ნათელი ჩირაღდნით მიჰყავს ჩვენი უძლეველი ქვეყანა კომუნიზმის სრული გამარჯვების გზით. იმ ადამიანის სახელი, ვინც სოციალიზმის ქვეყანაში შექმნა ბედნიერი და სამური ცხოვრება. ვინც შექმნა და გამოზარდა საქართველოს ბოლშევიკების ორგანიზაცია საქართველოში და კავკასიაში მუშათა მოძრაობის ჯერ კიდევ გარიჟრაჟზე.

პარტიის საქალაქო და რაიონული კონფერენციები წელს უჩვეულო დარაზმულობითა და მაღალი პოლიტიკური აქტივობის ნიშნით ჩატარდნენ.

უაღრესად სერიოზული და მოფიქრებული მიდგომა უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი საკითხებისადმი, ღრმა იდეურობით და ბოლშევიკური პარტიულობით გამსჭვალული მსჯელობა პარტიის საქმისადმი საკითხებზე, უამრავი საქმიანი წინადადებები და დამატებები, რომლებიც გამიზნულია თეზისებში შესატანად — კვლავ ახალი ძალით გვიჩვენებენ საქართველოს ბოლშევიკების ერთსულოვნებას, იდეურ-პოლიტიკურ ზრდას.

საქართველოს ბოლშევიკები, რომლებიც სახელოვან სტალინურ ტრადიციებზე აღზარდა და გამოაწრთო ამხანაგმა **ლ. პ. ბერიამ** კომუნიზმის მტრებისადმი შეურიგებელი ბრძოლის სულისკვეთებით, დიდი სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით, მოვიდნენ თავის XII ყრილობაზე ლენინ-სტალინის დროშის ქვეშ მჭიდროდ დარაზმული, იდეურად გამობრძმედილი და მონოლიტური რიგებით.

უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოს ბოლშევიკებმა, საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1937 წლის თებერვალ-მარტის პლენუმის და 1938 წლის იანვრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებებით და ბრძენი ბელადის მითითებებით შეიარაღებულებმა, — ჩაატარეს უაღრესად დიდი მუშაობა ტროცკისტულ-ბუხარინული და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ხროვის აგენტების გამომჟღავნებისა და მათი ბუდეების განადგურებისათვის. მავნებელთა, დივერსანტთა და ჯაშუშთა ბუდეების განადგურებამ აამაღლა საქართველოს პარტიული ორგანიზაციების სიფხიზლე, უფრო შეამჭიდროვა მათი რიგები სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

სახელმძღვანელო სამუშაოებზე პარტიამ დააწინაურა ახალი კადრები, ლენინ-სტალინის საქმისადმი უსაზღვროდ ერთგული ადამიანები, რომლებიც, ეუფლებიან რა მუშაობის ბოლშევიკურ სტილს, იძლევიან ხელმძღვანელობის საუკეთესო ნიმუშებს.

ყრილობაზე მოვიდნენ საქართველოს ბოლშევიკების რჩეული ადამიანები ორდენოსანი საქართველოს ფაბრიკებიდან, ქარხნებიდან, მაღაროებიდან, კოლმეურნეობებიდან, ციტრუსოვანთა ბაღნარებიდან, სამეცნიერო ლაბორატორიებიდან. ისინი ტრიბუნიდან მოუთხრობენ ყრილობას იმ შესანიშნავ გამარჯვებებზე, რომლებსაც საქართველოს ბოლშევიკები უმზადებენ პარტიის XVIII ყრილობას, იმ უმაგალითო საწარმოო-პოლიტიკურ აღმავლობაზე, რომელსაც ამჟამად განიცდის მთელი ჩვენი ქვეყანა.

ახალი გრანდიოზული ამოცანების წინ ბოლშევიკების პარტია კიდევ უფრო ამახვილებს თავის ორგანიზაციულ იარაღს, უფრო ამჭიდროვებს თავის რიგებს, უფრო მეტად უკავშირდება მილიონიან მასებს, რადგან სწორედ ამ კავშირშია ჩვენი ქვეყნის, ჩვენი პარტიის სიძლიერე და უძლეველობა.

უფრო ნაყოფიერად და ბარაქიანად იმუშავებენ ჩვენი ორთქლმავლები, გიგანტები, ქარხნები, ფაბრიკები, კოლმეურნეობები მესამე სტალინურ ხუთწლედში. უფრო მეტ ლითონს, თუჯს, ნავთს, პროდუქტებს მიიღებს სოციალიზმის ქვეყანა მესამე ხუთწლედში, უფრო ძლიერი, უფრო უძლეველი გახდება ჩვენი სოციალისტური სამშობლო.

საქართველოს ბოლშევიკები დასახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს იმისათვის, რომ მესამე სტალინურ ხუთწლედში მთელი ძალით განვითარდეს ჩვენი მრეწველობა, ჩვენი სოფლის მეურნეობა, კულტურა, ხელოვნება, ლიტერატურა.

12 დღის შემდეგ გაიხსნება საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XVIII ყრილობა, რომელიც განიხილავს პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიშს, ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისებს.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციები, რომლებმაც უდიდესი ერთსულოვნებით მოიწონეს სტალინური ცენტრალური კომიტეტის ყრილობისწინა დოკუმენტები, ბოლშევიკური დარაზმულობით, ერთიანი ფიქრით და გრძნობით მივლენ საკავშირო ყრილობაზე, საამაყო გამარჯვებებით წარსდგებიან დიდი **სტალინის** წინაშე.

ჩვენი მხურვალე სალამი საქართველოს ბოლშევიკების XII ყრილობას!

მოსკოვი

## სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარს — საბჭოთა კავშირის მარშალს ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვს

**ძვირფასო ამხანაგო ვოროშილოვ!**

თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საზეიმო პლენუმი, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივისა და სამხედრო ნაწილების წარმომადგენელთა მონაწილეობით, მიძღვნილი ჩვენი სახელოვანი მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის XXI წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XVIII წლისთავისადმი, მხურვალე სალამს გიძღვნით თქვენ, დიდი **სტალინის** ერთგულ მოწაფეს.

**ლენინისა** და მისი უახლოესი თანამებრძოლის ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით, **ლენინ-სტალინის პარტიის** ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი სამოქალაქო ომის წლებში აღსდგა ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად, სამშობლოსათვის წმინდათა - წმინდა ბრძოლის საწარმოებლად, უცხოელ ინტერვენტთა და თეთრგვარდიელთა ურდოების წინააღმდეგ.

სამოქალაქო ომის სახელოვან ბრძოლებში, **ლენინ-სტალინის** ხელმძღვანელობით, გამოიჭედა ჩვენი მუშურ-გლეხური წითელი არმიის ძლიერება, მისი გმირობა, რომელიც უმაგალითოა ისტორიაში.

მუშურ-გლეხურმა წითელმა არმიამ და სამხედრო-საზღვაო ფლოტმა ღირსეულად დაიცვეს მტრებისაგან ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის მონაპოვრები.

კაცობრიობის უდიდესი გენიოსის — ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით ჩვენმა ქვეყანამ მიაღწია სოციალიზმის მსოფლიო - ისტორიულ გამარჯვებებს.

ჩვენი წითელი არმია და წითელი ფლოტი უძლეველი არიან, ვინაიდან ისინი განუწყვეტლად არიან დაკავშირებული მთელ საბჭოთა ხალხთან, ძლიერი არიან მისი სიყვარულითა და მხარდაჭერით, ვინაიდან წითელი არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი დარაზმული არიან საბჭოთა ხელისუფლების გარშემო, ბოლშევიკების პარტიის გარშემო და თავდადებით ემსახურებიან **ლენინ-სტალინის** საქმეს, კომუნიზმის საქმეს.

ფაშიზმის საზიზღარ დაქირავებულთა გამომჟღავნებისა და განადგურების შედეგად, მუშურ - გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის რიგების მათგან გაწმენდის შედეგად განუზომელად გაიზარდა ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალების ძლიერება, რომლებიც ფხიზლად იცავენ სსრ კავშირის საზღვრებს.

სიტყვას გაძლევთ თქვენ, თავდაცვის სტალინურ სახალხო კომისარს და გმირული წითელი არმიის სახელოვან სარდალს, რომ მთელ ჩვენს ძალღონეს და ენერგიას მოვახმართ ჩვენი წითელი არმიის, წითელი ფლოტის, წითელი ავიაციის განმტკიცებას. ჩვენ ყოველთვის ვართ მობილიზაციური მზადყოფნის მდგომარეობაში სამხედრო თავდასხმის საფრთხის წინაშე. საბჭოთა მთავრობის პირველ მოწოდებისთანავე, დიდი სტალინის პირველ მოწოდებისთანავე ჩვენ მკერდით აღვსდგებით სოციალისტური სამშობლოს დასაცავად და დავიცავთ მას მამაცურად, უნარიანად, ღირსეულად და სახელოვნად, არ დავზოგავთ ჩვენს სისხლსა და სიცოცხლეს მტრებზე სრული გამარჯვების მისაღწევად.

**ლენინ-სტალინის** პარტიის XVIII ყრილობისათვის მზადების დღეებს მთელი ჩვენი ხალხი აღნიშნავს ახალი საწარმოო გამარჯვებებით, სოციალიზმის დიადი ქვეყნის თავდაცვითი ძლიერების კიდევ უფრო განმტკიცებით.

გაუმარჯოს სსრ კავშირის მშრომელთა შეიარაღებულ რაზმს—ჩვენს მშობლიურ წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

გაუმარჯოს სსრ კავშირის თავდაცვის რკინისებურ სტალინურ სახკომს, საბჭოთა კავშირის მარშალს კლიმენტი ეფრემის-ძე **ვოროშილოვს!**

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ ბელადს, მეგობარსა და მასწავლებელს ამხანაგ **სტალინს!**

მოსკოვი

## სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს ამხანაგ ლ. პ. ბერიას

**ძვირფასო ლავრენტი პავლეს-ძევ!**

თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საზეიმო პლენუმი, პარტიული, სამხედრო, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით, მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის XXI წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების XVIII წლისთავის საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის დღეს მხურვალე სალამს გიძღვნით თქვენ, დიდი **სტალინის** ერთგულ მოწაფეს, სახელოვანი საბჭოთა დაზვერვის მებრძოლ ხელმძღვანელს.

საბჭოთა რესპუბლიკების ძმურ მეგობრობაში აყვავდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. რუსეთის ცარიზმის ყოფილი ჩაგრული კოლონიიდან იგი გადაიქცა მოწინავე ორდენოსან სოციალისტურ რესპუბლიკად.

განსაკუთრებით დიდი და მნიშვნელოვანია საბჭოთა საქართველოს წარმატებები, მიღწეული უკანასკნელი შვიდი წლის მანძილზე თქვენი უშუალო ხელმძღვანელობით.

ქართველი ხალხი მტკიცედ არის შეკავშირებული ურყევი მორალურ - პოლიტიკური ერთიანობით და დარაზმულია ბოლშევიკების პარტიის გარშემო, მშობლიური და დიდი **სტალინის** გარშემო.

თავის წარმატებებს სოციალისტური მშენებლობის საქმეში საბჭოთა სოციალისტური საქართველო უნდა უმადლოდეს იმას, რომ თქვენ, ძვირფასო ლავრენტი პავლეს-ძევ, უზრუნველჰყავით საქართველოში ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ამხანაგ **სტალინის** მითითებათა განუხრელად გატარება.

საქართველოს ბოლშევიკები და მთელი ქართველი ხალხი თქვენ აღზარდეთ სტალინური პრინციპულობის, ხალხის მტრებთან ბრძოლაში შეურიგებლობის სულისკვეთებით, ლენინ-სტალინის საქმისადმი — კომუნიზმის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

საქართველოს ბოლშევიკებში თქვენ აღზარდეთ მებრძოლი რევოლუციური სიფხიზლე; თქვენი ხელმძღვანელობით გამომჟღავნებული და განადგურებულია ფაშიზმის საზიზღარ ტროცკისტ - ბუხარინელ და სხვა დაქირავებულთა ბანდები, რომლებიც ცდილობდნენ უკუღმა დაეტრიალებინათ ისტორია, ჩამოეშორებინათ საქართველო სსრ კავშირისაგან და ქართველი ხალხისათვის დაედგათ კაპიტალიზმის წყეული უღელი.

ბედნიერი და საამური ცხოვრებით ცხოვრობენ საბჭოთა საქართველოს მშრომელები, რომლებიც ყოველდღე აღწევენ ახალ-ახალ გამარჯვებებს სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე.

ჩვენ გვახსოვს და მუდამ გვეხსომება ამხანაგ **სტალინის** ბრძნული მითითება კაპიტალისტური გარემოცვის შესახებ, მუდამ ვიქნებით მობილიზაციური მზადყოფნის მდგომარეობაში და ბოლშევიკური სიფხიზლის ამაღლებით დავეხმარებით სახელოვან საბჭოთა დაზვერვას ხალხის საზიზღარი მტრების ნაშთების გამომჟღავნებასა და აღმოფხვრაში.

მთელი ქართველი ხალხი უდიდესი აღფრთოვანებით ემზადება იმისათვის, რომ შეხვდეს საკ. კ. პ. (ბ) ისტორიულ XVIII ყრილობას სოციალისტური მშენებლობის ახალი წარმატებებით, კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცებისათვის, სოციალისტური კულტურის კიდევ უფრო ბრწყინვალე აყვავებისათვის ბრძოლით. საქართველოს მშრომელები საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის სახელობის ფართოდ გაშლილი შეჯიბრების კონკრეტული საქმეებით აღნიშნავენ მზადებას ამ ისტორიული ყრილობისათვის.

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან, ჩვენს ერთგულ გუშაგს, რომელიც ფხიზლად იცავს სოციალიზმის მონაპოვრებს—საბჭოთა დაზვერვას და მის მებრძოლ ხელმძღვანელს ლავრენტი **ბერიას!**

გაუმარჯოს გმირულ და უძლეველ მუშურ-გლეხურ წითელ არმიას და სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

გაუმარჯოს მშობლიურ და დიდ **სტალინს!**

## მუშურ-გლეხური წითელი არმიის მთავარ სამხედრო საბჭოში

ა. წ. 23 თებერვალს მუშურ-გლეხური წითელი არმიის მთავარი სამხედრო საბჭოს წევრთა თანადასწრებით სამხედრო ფიცი მიიღო მთავარი სამხედრო საბჭოს წევრმა ამხანაგმა **ი. ბ. სტალინმა.** (საკდესი).

## ამხ. ბ. ლ. ვანიკოვის დაჯილდოება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ა. წ. 23 თებერვლის ბრძანებულებით, წარმატებით მუშაობისათვის, რამაც უზრუნველჰყო არტილერიისა და იარაღის ქარხნების მიერ 1938 წლის საწარმოო პროგრამის შესრულება და ახალი სახის იარაღის ათვისება, ამხ. ბორის ლევის-ძე **ვანიკოვი,** თავდაცვის მრეწველობის სახალხო კომისრის ყოფილი მოადგილე, ამჟამად სსრ კავშირის შეიარაღების სახალხო კომისარი — დაჯილდოებულია **ლენინის** ორდენით. (საკდესი).

## სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა

23 თებერვალს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა პრეზიდიუმის მთელი რიგი წევრების თანადასწრებით ორდენები და მედლები გადასცა დაჯილდოებულთ.

ლენინის ორდენი მიიღეს მოსკოვის მეტროპოლიტენის მეორე რიგის მშენებლობის მუშათა, ინჟინერთა და ხელმძღვანელ მუშაკთა კოლექტივის წარმომადგენლებმა. ეს კოლექტივი დაჯილდოებულია პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილების წარმატებით შესრულებისათვის, მუშაობაში ბოლშევიკური ტემპების უზრუნველყოფისა და მექანიზებული გვირაბმშენებლობის მაღალი ტექნიკის დაუფლებისათვის.

ორდენებსა და მედლებს იღებენ აგრეთვე მეტროს მშენებლობის გამოჩენილი მუშაკები.

შემდეგ ორდენები და მედლები ეძლევა ორდენოსანი № 22 ქარხნის იმ მუშაკთა ჯგუფს, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი. ისინი დაჯილდოებულნი არიან იმ განსაკუთრებული წარმატებებისათვის, რომლებსაც მათ მიაღწიეს სამხედრო ტექნიკით წითელი საჰაერო ფლოტის უზრუნველყოფის საქმეში.

ორდენებისა და მედლების გადაცემის შემდეგ მოკლე სიტყვა წარმოსთქვა ამხ. მ. ი. კალინინმა, რომელმაც გულითადად მიულოცა ყველა დაჯილდოებულთ და უსურვა მათ შემდგომი წარმატებანი მუშაობაში. (საკდესი).

## სსრ კავშირის სახალხო არტისტის ე. პ. კორჩაგინა-ალექსანდროვსკაიას დაჯილდოება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ა. წ. 23 თებერვლის ბრძანებულებით, ლენინგრადის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ეკატერინე პავლეს-ასული **კორჩაგინა - ალექსანდროვსკაია,** არტისტულ მოღვაწეობის 50 წლის შესრულებასთან დაკავშირებით, დაჯილდოებულია **ლენინის** ორდენით. (საკდესი).

## რსფს რესპუბლიკის სახალხო არტისტის ი. მ. იურიევის დაჯილდოება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ა. წ. 23 თებერვლის ბრძანებულებით ლენინგრადის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობი, რსფს რესპუბლიკის სახალხო არტისტი იური მიხეილის-ძე **იურიევი,** თეატრში შემოქმედებითი მუშაობის 45 წლის შესრულებასთან დაკავშირებით, დაჯილდოებულია **„შრომის წითელი დროშის"** ორდენით, ამასთან მას მიენიჭა სსრ კავშირის სახალხო არტისტის სახელწოდება, (საკდესი).



თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის სტახანოველ მექვაბის, საქ. კ. პ. (ბ) XII ყრილობის დელეგატის, ორდენოსან მ. გეწაძის მლუნავთა ბრიგადამ თვით მ. გეწაძის, ს. გლუშინის და ს. მოროზის შემადგენლობით 25 თებერვალს საქ. კ. პ. (ბ) XII ყრილობის გახსნის აღსანიშნავად დაამყარა რეკორდი ორთქლმავლის ქვაბის ნაწილების ღუნვაში. დღიური გეგმა ბრიგადამ 2052 პროცენტით შეასრულა და გამოიმუშავა 1.400 მანეთი. სურათზე: მ. გეწაძე, ს. მოროზი და ს. გლუშინი.

საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფიცი ხალხისა, სამშობლოსა და მუშურ-გლეხური მთავრობისადმი ერთგულებაზე

23 თებერვალს წითელმა არმიამ ფიცი დასდო დიადი ხალხის, მძლავრი სამშობლოს და მსოფლიოში პირველ მუშურ-გლეხური მთავრობის წინაშე. ამ დღეს ფიცი დასდეს მებრძოლებმა და მეთაურებმა, კომისრებმა და უფროსებმა, ყველამ — დაწყებული მარშლითა და დამთავრებული წითელარმიელით. მხურვალე სიყვარულით სძგერდა უშიშარ და მამაც მებრძოლთა გული, როდესაც ისინი წარმოსთქვამდნენ სამხედრო ფიცის ახალი ტექსტის მარტივ და მგზნებარე სიტყვებს.

ამ ისტორიულ დღეს სამშობლოსა და ხალხის წინაშე ფიცი დასდო ბოლშევიკმა სარდალმა, სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარმა, საბჭოთა კავშირის მარშალმა — ამხანაგმა კ. ე. ვოროშილოვმა.

ის შევიდა დარბაზში, სადაც თავი მოიყარეს თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილეებმა, მოსკოვის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრებმა, სახალხო კომისარიატის ცენტრალურ სამმართველოთა უფროსებმა და სამხედრო კომისრებმა.

საბჭოთა კავშირის მარშალი ს. მ. ბუდიონი ეგებება სახალხო კომისარს და მოახსენებს მას:

— ამხანაგო სახალხო კომისარო, საბჭოთა კავშირის მარშალო, მეთაურთა და უფროსთა შემადგენლობა შეიკრიბა ფიცის მისაღებად თქვენი ხელმძღვანელობით.

სალამის მიცემის შემდეგ, ამხანაგი ვოროშილოვი ამბობს:

ამხანაგებო! დღეს, მუშურ-გლეხური წითელი არმიის XXI წლისთავზე, ჩვენი სახელოვანი წითელი არმიისა, მამაცი მუშურ-გლეხური სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და სანაპირო დაცვის გმირული ჯარის მთელი პირადი შემადგენლობა სდებს ფიცს, ხოლო ის პირნი, რომელნიც მსახურებენ როგორც ნებით დაქირავებულნი, — საზეიმო და ფიცითს ვალდებულებას კისრულობენ იყვნენ ერთგულნი თავისი ხალხის, თავისი სამშობლოს და მუშურ-გლეხური მთავრობისადმი.

საბჭოთა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები, წარმოადგენენ რა თავისი ძლევამოსილი ხალხის სისხლსა და ხორცს, მუდამ ერთგულნი და უსაზღვროდ თავდადებულნი იყვნენ გამარჯვებული სოციალიზმის წითელი დროშისა, ლენინ-სტალინის დიადი საქმისა, თავისი მძლავრი სამშობლოსა, ხალხისა და თავისი მუშურ-გლეხური მთავრობისადმი.

სტალინური კონსტიტუციის — სოციალიზმის დიად მონაპოვართა ქარტიის შესაბამისად, რომლის საფარველქვეშაც ცხოვრობენ, იბრძვიან და სულ უფროდაუფრო ახალ და დიდ გამარჯვებებს აღწევენ საბჭოთა კავშირის ხალხები, მუშურ-გლეხურმა წითელმა არმიამ, მუშურ-გლეხურმა სამხედრო-საზღვაო ფლოტმა და სანაპირო დაცვის ჯარმა საზეიმო დაპირების წინანდელი ტექსტის ნაცვლად სამხედრო ფიცის ახალი ტექსტი მიიღეს.

ამიერიდან სამხედრო ფიცს დასდებს თვითეული სამხედრო მოსამსახურე ინდივიდუალური წესით.

ამხანაგებო! ჩვენი ხალხის, მთავრობისა და ლენინ-სტალინის პარტიის წინაშე მივიღოთ სამხედრო ფიცი, დავდოთ ფიცი თავდადებით და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ვემსახუროთ ჩვენს სამშობლოს, დიად საბჭოთა ხალხს და ჩვენს მუშურ-გლეხურ მთავრობას.

როგორც უფროსი თქვენს შორის ფიცსა ვდებ პირველი.

სახალხო კომისარი კითხულობს სამხედრო ფიცის ტექსტს. მკაფიოდ წარმოსთქვამს რა თვითეულ სიტყვას, ფიცსა სდებს სამშობლოს წინაშე სტალინური სახკომი, სახელოვანი სარდალი-ბოლშევიკი.

სამხედრო ფიცის ტექსტის წაკითხვის შემდეგ, სახალხო კომისარი ამოწმებს მას საკუთარი ხელმოწერით:

„კ. ვოროშილოვი"

ამხანაგი ვოროშილოვი იწვევს მაგიდასთან ფიცის დასადებად სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილეს საბჭოთა კავშირის მარშალს ს. მ. ბუდიონნს.

შემდეგ სამხედრო ფიცს სდებს თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილე არმიის 1-ლი რანგის სარდალი გ. ი. კულიკი.

სამშობლოსა და ხალხის წინაშე ფიცს სდებენ სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილენი, არმიის 1-ლი რანგის კომისრები, ამხანაგები — ლ. ზ. მეხლისი და ე. ა. შჩადენკო.

სახალხო კომისარი ფიცის დასადებად იწვევს მუშურ-გლეხური წითელი არმიის გენერალური შტაბის უფროსს, არმიის 1-ლი რანგის სარდალს ბ. მ. შაპოშნიკოვს, მოსკოვის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრებს ა. ს. შჩერბაკოვს, კორპუსის კომისარს ა. ი. ზაპოროჟეცს, მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალთა უფროსს არმიის მე-2 რანგის სარდალს ა. დ. ლოკტიონოვს, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის თავმჯდომარეს არმიის სამხედრო იურისტს ვ. ა. ულრიხს, მუშურ-გლეხური წითელი არმიის მთავარ სამხედრო პროკურორს არმიის სამხედრო იურისტს ნ. ს. როზოვსკის, მუშურ-გლეხური წითელი არმიის ავტო-ჯავშანსატანკო სამმართველოს უფროსს, საბჭოთა კავშირის გმირს, კორპუსის მეთაურს დ. გ. პავლოვს, საბჭოთა კავშირის გმირს კორპუსის მეთაურს ი. ვ. სმუშკევიჩს, კორპუსის მეთაურებს ნ. პ. ვორონოვს, ა. პ. ხმელნიცკის, ი. ვ. სმოროდინოვს, ე. ნ. კურდიუმოვს, დივიზიის მეთაურებს ი. კ. პოლიაკოვს, ა. გ. ორლოვს, მ. ვ. სნეგოვს, ი. ა. ნაიდენოვს, საბჭოთა კავშირის გმირს დივიზიის მეთაურს ვ. ს. მოლოკოვს, ბრიგადის მეთაურს ვ. ი. ნაიდენოვს, ბრიგადის კომისარს პ. ნ. კულიკოვს, პოლკოვნიკებს ი. ტ. პერესიპკინს, ნ. ი. გუსევს, მ. ს. ჩისტიაკოვს, პოლკის კომისრებს ს. ა. დობროვოლსკის, ვ. ვ. პოლიაკოვს, ა. გ. ლაზარევს და მაიორ ფ. ნ. ზინოვიევს. ისინი ყველანი კითხულობენ სამხედრო ფიცის ტექსტს და ამოწმებენ მას პირადი ხელმოწერით.

მიმართავს რა დამსწრეთ, ამხანაგი კ. ე. ვოროშილოვი ამბობს:

ამხანაგებო! ჩვენ მივიღეთ სამხედრო ფიცი, ჩვენ ფიცი დავდეთ ვემსახუროთ ჩვენს სამშობლოს, ხალხს და ჩვენს მთავრობას მთელი ჩვენი სისხლითა და თვით სიცოცხლითაც კი.

მე ვიცი, რომ ყოველი თქვენგანი ყოველ წუთს სიხარულით მზად არის სისხლთან ერთად თვით სიცოცხლეც კი გასწიროს ლენინ-სტალინის დიადი საქმისათვის, თავისი სამშობლოსათვის, ხალხისათვის, ჩვენი მუშურ-გლეხური მთავრობისათვის.

მაგრამ ეს ცოტაა. ჩვენ, წითელი არმიის ხელმძღვანელებსა და უფროსებს გაცილებით უფრო მეტი მოგვეთხოვება. ჩვენ ვალდებულნი ვართ ვიცოდეთ, თუ როგორ უნდა ვუხელმძღვანელოთ ჩვენდამი მონდობილ საქმეს, პატიოსნად, ორგანიზებულად და ბევრი ვიმუშაოთ იმისათვის, რომ ჩვენი სახელოვანი წითელი არმია მუდამ იყოს იმ ამოცანათა სიმაღლეზე, რომლებიც მის წინაშე სდგანან.

წითელ არმიას, ისტორიულად შექმნილ პირობათა გამო, შეუძლია იარსებოს მხოლოდ როგორც უძლეველმა, ყოვლის შემმუსრავმა ძალამ. იგი ასეთია ამჟამად, იგი ასეთი იქნება მუდამ.

ამისათვის ჩვენ ყველამ — მებრძოლებმა, მეთაურებმა და პოლიტმუშაკებმა და განსაკუთრებით კი ჩვენ, პასუხისმგებელმა ხელმძღვანელებმა და უფროსებმა დაუღალავად ვიშრომოთ, მთელი ჩვენი ძალღონე მოვახმაროთ ჩვენი წითელი არმიის საბრძოლო და პოლიტიკური გაწრთვნის საქმეს, განუწყვეტელი სრულყოფის საქმეს.

უნდა ვიმუშაოთ, ამხანაგებო, ისე რომ ლენინ-სტალინის დიადი ისტორიული საქმე მტკიცედ და წარმატებით ვითარდებოდეს მუშურ-გლეხური წითელი არმიის საიმედო საფარქვეშ. ეს ასეც იქნება.

ამის თავდებია ჩვენი ფიცი, ჩვენი სამხედრო ფიცი.

გილოცავთ სამხედრო ფიცის მიღებას.

გილოცავთ, ამხანაგებო, ჩვენს დღესასწაულს — მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და მუშურ-გლეხური სამხედრო-საზღვაო ფლოტის XXI წლისთავს.

სახალხო კომისრის ამ შესანიშნავ სიტყვას, საბჭოთა სამშობლოს, დიდი სტალინისადმი სიყვარულითა და ერთგულებით აღსავსე სიტყვას საპასუხოდ გაისმის მქუხარე „ვაშა".

ამხანაგი კ. ე. ვოროშილოვი მიდის მეთაურებთან და კომისრებთან, ართმევს მათ ხელს და მხურვალედ ულოცავს სამხედრო ფიცის მიღებას. (საქდესი).

# ფიცი სამშობლოს წინაშე

## სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატში

სამხედრო - საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატის მონუმენტური შენობა ფიცის მიღების დღეს განსაკუთრებით საზეიმო სანახავი იყო. სადა დარბაზები და კაბინეტები მორთული იყო ყვავილებით.

დილის 9 საათია. ზედიზედ მოდიან შავი საპარადო ფორმით გამოწყობილი მეთაურები და კომისრები. ბევრ მათგანს მკერდზე ორდენები და მედლები აქვს. ისინი მოდიან იმისათვის, რათა დასდონ სამხედრო ფიცი ხალხის, თავისი სამშობლოს და მუშურ-გლეხური მთავრობისადმი ერთგულებაზე.

დარბაზში, სადაც თავი მოიყარეს სამხედრო - საზღვაო ფლოტის სახალხო კომისრის მოადგილეებმა, სახალხო კომისარიატის ცენტრალურ სამმართველოთა უფროსებმა და სამხედრო კომისრებმა, შემოვიდნენ სამხედრო - საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარი, არმიის 1-ლი რანგის სარდალი ამხ. მ. პ. ფრინოვსკი და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სამხედრო საბჭოს წევრი ამხ. ა. ა. ჟდანოვი.

სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. პ. ი. სმირნოვ - სვეტლოვსკი მოახსენებს სახალხო კომისარს:

— ამხანაგო სახალხო კომისარო, სახალხო კომისრის მოადგილეები, მთავარი საზღვაო შტაბის უფროსი, ცენტრალურ სამმართველოთა უფროსები და კომისრები შეკრებილნი არიან ფიცის მისაღებად.

მისალმების შემდეგ ამხ. ფრინოვსკი ამბობს:

— ამხანაგებო! დღეს, მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის XXI წლისთავზე, ფლოტის მთელი პირადი შემადგენლობა სამხედრო ფიცსა სდებს თავისი ხალხის, თავისი სამშობლოს და მუშურ-გლეხური მთავრობისადმი ერთგულებაზე. სდებს რა ფიცს, თვითეული წითელფლოტელი, მეთაური და პოლიტმუშაკი დღეს დიად აღთქმას იძლევა იყოს ერთგული და თავდადებული თავისი ხალხისადმი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე, თავდადებით ემსახუროს თავის სამშობლოს, ლენინ-სტალინის დიად საქმეს.

შემდეგ სახალხო კომისარი კითხულობს სამხედრო ფიცის ტექსტს და ამოწმებს მას საკუთარი ხელმოწერით.

ამხ. ფრინოვსკის შემდეგ ფიცსა სდებს ამხ. ა. ა. ჟდანოვი; ისიც კითხულობს და ხელს აწერს სამხედრო ფიცის ტექსტს.

ამხანაგი ფრინოვსკი მაგიდასთან იწვევს ფიცის მისაღებად სახალხო კომისრის მოადგილეებს — ფლოტის მე-2 რანგის ფლაგმანს ამხ. სმირნოვ - სვეტლოვსკის და კორპუსის კომისარს ამხ. იგნატიევს.

სამშობლოს და ხალხის ერთგულებაზე ფიცს სდებენ ფლოტის მთავარი საზღვაო შტაბის უფროსი ფლოტის მეორე რანგის ფლაგმანი ამხ. გალერი, პოლიტსამმართველოს უფროსის მოვალეობის აღმსრულებელი, ბრიგადის კომისარი ამხ. ნადეჟინი, სახალხო კომისარიატის ცენტრალურ სამმართველოთა უფროსები და კომისრები. ისინი ყველანი კითხულობენ სამხედრო ფიცის ტექსტს და ამოწმებენ მას პირადი ხელმოწერით.

ამხ. ფრინოვსკიმ შეკრებილთ მიულოცა სამხედრო ფიცის მიღება და მოუწოდა უფროსებსა და მეთაურებს შეუპოვრად იმუშაონ მუშურ-გლეხური სამხედრო - საზღვაო ფლოტის სიმძლავრის განმტკიცებისათვის.

# საზეიმო კრება კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში

23 თებერვალს საღამოს კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში შესდგა სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატის მუშაკთა და დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა საზეიმო კრება, მიძღვნილი მუშურ - გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის XXI წლისთავისადმი.

პრეზიდიუმში არიან სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარი, არმიის 1 რანგის სარდალი ამხ. ფრინოვსკი, სახალხო კომისრის მოადგილეები, ფლოტის მე-2 რანგის ფლაგმანი ამხ. სმირნოვ-სვეტლოვსკი და კორპუსის კომისარი ამხ. იგნატიევი, მთავარი საზღვაო შტაბის უფროსი, ფლოტის მე-2 რანგის ფლაგმანი ამხ. გალერი, მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო - საჰაერო ძალთა უფროსი, არმიის მე-2 რანგის სარდალი ამხ. ლოკტიონოვი და სხვები.

მოხსენებით სახელოვანი წლისთავის შესახებ გამოვიდა ამხ. სმირნოვ-სვეტლოვსკი.

მქუხარე ოვაციით მიღებულ იქნა მისალმებანი ამხანაგ სტალინისა და ამხანაგ მოლოტოვისადმი.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი. (საქდესი).

# სტახანოვური გამარჯვებებით ხვდებიან საქ. კ. პ. (ბ) XII ყრილობას

## ორდენოსან ამხ. მ. გეწაძის ბრიგადის რეკორდი

25 თებერვალს ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის მექვაბეთა სტახანოვურმა ბრიგადამ, რომელსაც ორდენოსანი ამხ. მ. ფ. გეწაძე მეთაურობს, საქართველოს კომპარტიის XII ყრილობისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XVIII წლისთავის აღსანიშნავად, შრომისნაყოფიერების განსაკუთრებული რეკორდი დაამყარა. სამუშაო დღის განმავლობაში ბრიგადამ გადააკეთა „ე" სერიის ორთქლმავლის ოთხი უკანა ცხაური, „ო" სერიის ორთქლმავლის ორი უკანა ცხაური და დაამზადა 16 საჰაერო რეზერვუარი.

ნორმით ამ სამუშაოს 432 საათი სჭირდება. ამხ. გეწაძის ბრიგადამ კი ეს სამუშაო 21 საათში დაამთავრა. ბრიგადის შრომის ნაყოფიერება 2052,1 პროცენტით გამოიხატა.

ამ დღეს სამი ამხანაგის—გეწაძის, გლუშინისა და მოროზოვისაგან შემდგარმა ბრიგადამ 1400 მანეთი გააკეთა. (საქდესი).

## ტყიბულელები ანაღდებენ ვალდებულებას

(ტყიბული, საქ. კორ.)

ლენინის სახელობის მაღარომ, რომელსაც წინასაყრილობო შეჯიბრებაში ქვანახშირის ამოღების ორი თვის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის გამოწვეული ჰყავს სტალინის სახელობის მაღარო, 22 თებერვალს ღამის ცვლაში მთლიანად შეასრულა იანვარ-თებერვლის დავალება: 29.340 ტონის ნაცვლად ამოიღო 29.350 ტონა ანუ გეგმის 100,1 პროცენტი.

ქვანახშირის ნგრევის სტახანოველებმა ვ. ცირეკიძემ (ლენინის ორდენით დაჯილდოებული), დ. გვენეტაძემ, ალ. დარსაძემ, კ. გიორგაძემ, ბ. კვაჭაძემ და ს. კაკაბაძემ ამ დღეებში შეასრულეს მე-18 ყრილობის სახელობის სოცშეჯიბრებაში ნაკისრი ვალდებულებანი.

ლენინის სახელობის მაღაროს მუშათა კოლექტივი, რომელსაც მტკიცედ უპყრავს ტრესტ „ტყიბულნახშირის" და „კომუნისტის" გარდამავალი დროშები, პირობას იძლევა გეგმის გადამეტებით მე-18 პარტყრილობას საჩუქრად მოუმზადოს 3.000 ტონა ქვანახშირი.

დ. საბელაშვილი

## სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში

11 თებერვალს ამწყობი საამქროს ბრიგადამ (ბრიგადირი ამხ. ზ. ზუბიევი), რომელშიაც 7 კაცია, ცვლის გეგმა შეასრულა 802 პროცენტით და 7 საათში გამოიმუშავა 593 მანეთი. ბრიგადა მუშაობს საორთქლმავლო ჩარჩოების დამზადებაზე.

იმავე დღეს იმავე საამქროს სტახანოველმა ამხ. ორლოვმა ცვლის გეგმა შეასრულა 748 პროცენტით.

13 თებერვალს იმავე საამქროს მეორე ბრიგადამ, რომელსაც ბრიგადირად ამხ. ა. სალონინი ჰყავს, საორთქლმავლო რვილების გამოშვების დღიური გეგმა შეასრულა 233 პროცენტით.

რვილების გამომშვებმა ბრიგადამ, რომელსაც ამხ. შ. მაისურაძე ხელმძღვანელობს, 13 თებერვალს გეგმა შეასრულა 364 პროცენტით.

საბარგო-სავაგონო საამქროს ბრიგადამ, რომელსაც ბრიგადირად ჰყავს ამხ. გ. დათუაშვილი (ორდენოსანი ხალიაპინის ყოფ. ბრიგადა), 2 თებერვალს დაამყარა ახალი რეკორდი — ერთი სამუშაო დღის განმავლობაში, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 1 ვაგონისა, ასწია და შეაკეთა 6 ვაგონი. ბრიგადამ 55 საათის სამუშაო 7 საათში შეასრულა. ეს უდრის დღიური დავალების 790 პროცენტს.

15 თებერვალს გ. დათუაშვილმა და ვ. მიხანაშვილმა (იმავე საამქროს სტახანოველებმა) 60 საათის სამუშაო შეასრულეს 5 საათში, ე. ი. დღის საწარმოო დავალება 600 პროცენტით შეასრულეს.

საბარგო-სავაგონო საამქროს კომკავშირულმა ბრიგადამ (ბრიგადირი დავ. გაბილაია) იკისრა XVIII პარტიული ყრილობის აღსანიშნავად თებერვლის საწარმოო დავალების 200 პროცენტით შესრულება. 20 თებერვალს ბრიგადამ დღიური საწარმოო დავალება 700 პროცენტით შეასრულა, ხოლო 22 თებერვალს — 800 პროცენტით.

ზეინკლებმა ამხ. შ. გაგუაშვილმა და კავთიაშვილმა 9 თებერვალს დღიური საწარმოო დავალება 680 პროცენტით შეასრულეს.

სტახანოველებმა ს. ბაბაევმა და გ. თახჩიევმა 21 თებერვალს დღიური საწარმოო დავალება (ვაგონების შეკეთება) შეასრულეს 370 პროცენტით.

შემდუღებელი საამქროს წარჩინებულმა სტახანოველმა - ნიშნოსანმა ამხ. ზ. ნადირაძემ 8 თებერვალს შეადუღა 5 საორთქლმავლო ცილინდრი, რაც დღიური საწარმოო დავალების 1423 პროცენტით შესრულებას უდრის.

სამჭედლო საამქროში ძ. გუგულაშვილის ბრიგადამ ერთ ცვლაში მუშაობისას 14 თებერვალს გეგმა 918 პროცენტით შეასრულა.

სტახანოველმა ბრიგადირმა ამხ. ალ. ტატიშვილმა 14 თებერვალს დღიური საწარმოო გეგმა შეასრულა 1.370 პროცენტით.

## ექსი რეკორდი თბილისის საორთქლმავლო დეპოში

თბილისის საორთქლმავლო დეპოს მემანქანეებმა ამხ. ი. გეპნერმა და რ. ასიტოვმა 6 თებერვალს დაამყარეს საბარგო მატარებლის სისწრაფით წაყვანის რეკორდი, რომელიც მათ მიუძღვნეს მეთვრამეტე პარტიულ ყრილობას. საბარგო მატარებელი № 2938, 2665 ტონის წონისა, მათ ჩაიყვანეს ხაშურში 1 საათით და 31 წუთით ადრე, ვიდრე ნორმით იყო გათვალისწინებული. ამასთანავე გომიდან ხაშურამდე მატარებელი გაატარეს უშიშწოლოდ.

10 თებერვალს, მემანქანეებმა ა. შოკმა და ჟურკინმა წამოიყვანეს საბარგო მატარებელი № 813 აქსტაფიდან თბილისში. ნორმით გათვალისწინებული 2500 ტონის ნაცვლად მატარებლის წონა უდრიდა 2815 ტონას. აქსტაფიდან თბილისამდე მემანქანეებმა მატარებელი უშიშწოლოდ ჩამოიყვანეს.

11 თებერვალს მათივე მაგალითის მიხედვით კრივონოსელებმა ამხ. არ. მამაჯანიშვილმა და მუხიგულმა ხაშურში წაიყვანეს 2.840-ტონიანი საბარგო მატარებელი № 2936. მატარებელი გაატარეს უშიშწოლოდ და დანიშნულების ადგილზე 33 წუთით ადრე მიიყვანეს.

16 თებერვალს კრივონოსელმა მემანქანემ ვლად. გნოლიძემ აქსტაფიდან თბილისში ერთი ორთქლმავლით ჩამოიყვანა საბარგო მატარებელი, რომელიც 1500 ტონას იწონიდა. მატარებელი მას მოჰყავდა უშიშწოლოდ და თბილისში ჩამოვიდა 13 წუთით ადრე.

თბილისის ადგილობრივი დეპოს კომკავშირულმა ბრიგადამ, რომელსაც სტახანოველი-კომკავშირელი ამხ. შ. ხიზანიშვილი ხელმძღვანელობს, იკისრა XVIII პარტყრილობისათვის 5 ორთქლმავლის შეკეთება გეგმის გადამეტებით. ეს ვალდებულება ბრიგადამ 12 თებერვალს შეასრულა და კაპიტალური რემონტიდან გამოუშვა 5 ორთქლმავალი.

დ. ამირანიძე



საქ. კ. პ. (ბ) XII ყრილობის დელეგატები თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიონიდან—(მარცხნიდან) ტ. მ. მაღრაძე, ი. პურიგაშვილი, ს. მურინი; (დგანან) სამთელაძე, მშვენიერაძე, ლ. ბულოვი და ვ. კვინიკაძე. საქდესის ფოტოქრონიკა

# ხალხის ერთგული შვილი

## ამხ. ნ. კ. კრუპსკაიას დაბადების 70 წლისთავის გამო

საბჭოთა ქვეყანა აღნიშნავს ბოლშევიკური პარტიის ერთერთი უძველესი და უერთგულესი მუშაკის, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ახლო მეგობრისა და ამხანაგის ნადეჟდა კონსტანტინეს-ასულის კრუპსკაიას დაბადების 70 წლისთავს.

ნადეჟდა კონსტანტინეს - ასული კრუპსკაია დაიბადა 1869 წლის 26 თებერვალს პეტერბურგში. მის მამას კავშირი ჰქონდა რუსეთის იმდროინდელ საზოგადოებრიობის მოწინავე წრეებთან; ნადეჟდა კონსტანტინეს - ასული რევოლუციურ წრეში გამოიზარდა.

1890 წელს ნ. კ. კრუპსკაიამ სტუდენტების წრეში დაიწყო მარქსისა და ენგელსის ნაწარმოებთა შესწავლა. მალე იგი თვითონ გახდა სტუდენტ-ტექნოლოგთა მარქსისტული წრის ხელმძღვანელი. შემდეგ ნადეჟდა კონსტანტინეს-ასულმა მუშაობა დაიწყო საღამოს სკოლის მასწავლებლად შლისელბურგის ტრაქტზე.

1893 წელს პეტერბურგში ჩავიდა ვლადიმერ ილიას-ძე ულიანოვი (ლენინი). რევოლუციურ მუშაობას ერთბაშად სულ სხვა ტემპები, სულ სხვა გაქანება მიეცა. ნ. კ. კრუპსკაია შედის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირში", რომელიც ლენინმა შექმნა მარქსისტ მუშათა წრეებისაგან. ნადეჟდა კონსტანტინეს-ასული აქტიურ მონაწილეობას იღებს რევოლუციური ფურცლების შედგენასა და ბეჭდვაში, მათს გავრცელებაში. იგი დიდად უწყობს ხელს მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას „კავშირსა" და მოწინავე მუშებს შორის. 1895 წლის დეკემბერს ვ. ი. ლენინის დაპატიმრების შემდეგ, ამხანაგები ლენინთან დაკავშირებული არიან ნ. კ. კრუპსკაიას საშუალებით.

პეტერბურგის ფეიქართა საყოველთაო გაფიცვამ 1896 წელს დაპატიმრებათა ახალი აზვირთება გამოიწვია, დაპატიმრებულთა შორის



ამხ. კრუპსკაიაც იყო. კრუპსკაია 7 თვის განმავლობაში იჯდა წინასწარი პატიმრობის სახლში, ხოლო შემდეგ მას მიესაჯა სამი წლით გადასახლება უფის გუბერნიაში. მაგრამ ნადეჟდა კონსტანტინეს-ასულის დაჟინებითი მოთხოვნით მას ნებადართეს მოეხადა სასჯელი ენისეის გუბერნიის სოფელ შუშენსკოეში, სადაც უკვე იმყოფებოდა მთავრობის მიერ იქ გადასახლებული ვ. ი. ლენინი.

გადასახლებაში ყოფნის მთელ დროს მეცადინეობას ანდომებდნენ. ლენინის ხელმძღვანელობით ნადეჟდა კონსტანტინეს-ასული სწერს ბროშურას — „მუშა ქალი", რომელიც შემდეგ ჟენევაში დაიბეჭდა გაზეთ „ისკრის" სტამბაში. ვლადიმერ ილიას-ძესთან ერთად ამხ. კრუპსკაია ინგლისურიდან სთარგმნის სიდნეი და ბეატრისა ვებების წიგნს პროფკავშირების შესახებ. მრავალი გადასახლებული მისი დახმარებით სწავლობს მარქსისა და ენგელსის ნაწარმოებთ.

მინუსინსკიდან ლენინის წასვლის შემდეგ (1900 წლის თებერვალი) ნ. კ. კრუპსკაია უფაში ატარებს გადასახლების უკანასკნელ ერთ წელს. მან შესძლო კავშირის გაბმა არამარტო უფის, არამედ ზლატოუსტისა და უსტ-კატავის მუშებთან. ნადეჟდა კონსტანტინეს-ასული პროპაგანდისტულ მუშაობას ეწევა მუშათა წრეებში, აგროვებს მასალას კორესპონდენციებისათვის გაზეთ „ისკრაში" გასაგზავნად.

1901 წლის მარტში ნ. კ. კრუპსკაია, განთავისუფლდა რა გადასახლებიდან, გაემგზავრა მიუნხენს, სადაც ამ დროს ცხოვრობდა ლენინი და სადაც იმყოფებოდა „ისკრას" რედაქცია. ნადეჟდა კონსტანტინეს-ასულმა დაიწყო აქ მუშაობა „ისკრის" რედაქციის მდივნად და დაიკისრა მეტად მძიმე ვალდებულება რუსეთთან საკონსპირაციო კავშირის მოსაწყობად. ეს იყო უკვე მოსამზადებელი პერიოდი პარტიის II ყრილობისათვის, რომლის მუშაობაში შემდეგ კრუპსკაია მეტად აქტიურ მონაწილეობას იღებდა.

ნადეჟდა კონსტანტინეს - ასული მუშაობდა ბოლშევიკური გაზეთის „ვპერიოდის" რედაქციის მდივნად, მონაწილეობას იღებდა პარტიის III ყრილობის მომზადებასა და მუშაობაში, ყრილობისა, რომელიც ლონდონში მიმდინარეობდა.

1905 წლის ნოემბერში ვ. ი. ლენინი და ნ. კ. კრუპსკაია ჩამოვიდნენ პეტერბურგს. რუსეთში რევოლუცია იყო გაჩაღებული, ნადეჟდა კონსტანტინეს-ასული დიდ ორგანიზაციულ მუშაობას ეწეოდა პარტიაში, განაგებდა გამოცხადების საქმეს, კომიტეტთან და ცალკე ამხანაგებთან კავშირის გაბმის საქმეს, ამარაგებდა პარტიულ ორგანიზაციებს ლიტერატურით. დეკემბრის დამლევს ნ. კ. კრუპსკაია მონაწილეობას იღებდა ბოლშევიკთა ტამერფორსის კონფერენციაში, სადაც პირველად გაეცნო ამხანაგ სტალინს.

მოსკოვში დეკემბრის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ გაძლიერდა მეფის ოხრანკის მიერ ვ. ი. ლენინზე და ნ. კ. კრუპსკაიაზე თვალყურის დევნება და ისინი იძულებული შეიქნენ გადასულიყვნენ ფინეთში.

1907 წელს ლენინი და კრუპსკაია იძულებული გახდნენ წასულიყვნენ საზღვარგარეთ, ჟენევაში. რუსეთში ამ დროს მკაცრი რეაქცია მძვინვარებდა, რაც საშინლად აძნელებდა კავშირს პარტიულ ორგანიზაციებთან. მაგრამ ნადეჟდა კონსტანტინეს-ასულს მუშაობა არ შეუწყვეტნია. როგორც გაზეთ „პროლეტარის" რედაქციის მდივანი იგი დაუღალავი ენერგიით აწესრიგებს მიმოწერას და კავშირს რუსეთთან. ამასთან ერთად ნ. კ. კრუპსკაია დიდ დროს ანდომებს სასკოლო საქმის დაყენებისა და სახალხო განათლების ისტორიის შესწავლას.

1908 წლის დამლევს, ლენინთან ერთად პარიზში ყოფნის დროს, ნადეჟდა კონსტანტინეს-ასული აქტიურ მონაწილეობას იღებს ბოლშევიკების ბრძოლაში ლიკვიდატორებთან და ოტზოვისტებთან, მუშაობს პარტიულ სკოლაში, რომელიც ლენინის ხელმძღვანელობით მოეწყო პარიზის მახლობლად, ლონჟიუმოში 1911 წელს.

პრაღის კონფერენციის შემდეგ (1912 წ.) ვ. ი. ლენინი და ნ. კ. კრუპსკაია გადავიდნენ კრაკოვში, რუსეთის საზღვრის მახლობლად. აქედან მალე მოგვარდა მჭიდრო კავშირურთიერთობა რუსეთთან, გაზეთ „პრავდასთან", სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკურ ფრაქციასთან. ამ მუშაობას ანხორციელებდა ნადეჟდა კონსტანტინეს-ასული.

იმპერიალისტური ომის დასაწყისიდან ვ. ი. ლენინი და ნ. კ. კრუპსკაია შვეიცარიაში იმყოფებიან. იქიდან ლენინი ენერგიულ მუშაობას ეწევა რევოლუციური ძალების დასარაზმავად იმპერიალიზმის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის, იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევისათვის.

ნ. კ. კრუპსკაია შედის რუსეთის იმ დელეგაციის შემადგენლობაში, რომელიც გაგზავნილი იყო ქალთა საერთაშორისო კონფერენციაზე, ბერნში. როგორც ცნობილია, რუსი დელეგატი ქალები ამ კონფერენციაზე უმცირესობაში დარჩნენ და გამოვიდნენ განსაკუთრებული დეკლარაციით, რომელიც აშუქებდა ბოლშევიკურ პოზიციას იმპერიალისტური ომის მიმართ.

თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ, რუსეთში რომ დაბრუნდა, ნ. კ. კრუპსკაიამ ბოლშევიკების პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოში დაიწყო მუშაობა. მას ირჩევენ ვიბორგის რაიონულ საბჭოში. ნადეჟდა კონსტანტინეს-ასული მთელ დღეებსა და ღამეებს ატარებს მუშა-ქალთა და ჯარისკაცების ცოლთა შორის. ახალგაზრდობას შორის, განმარტავს ბოლშევიკურ ლოზუნგებს, ამხილებს მენშევიკებისა და ესერების გამცემლურ როლს. როცა ვლადიმერ ილიას-ძე ემალება კონტრრევოლუციური ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის ჯაშუშებს რაზლივის სადგურზე, ამხ. კრუპსკაია ასრულებს პროლეტარული რევოლუციის ბელადისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის დამაკავშირებელი რგოლის როლს. ის მონაწილეობს პარტიის VI ყრილობის მუშაობაში; ეს ყრილობა მიმდინარეობდა ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დღეებში ნ. კ. კრუპსკაია მუშაობს ვიბორგის რაიონულ პარტიულ კომიტეტში და სმოლნში. 1917 წლიდან, განათლების სახალხო კომისარიატის დაარსების მომენტიდან, ნადეჟდა კონსტანტინეს-ასული კოლეგიის წევრად ინიშნება და მას შემდეგ განუწყვეტლივ მუშაობს განსახკომში. 1929 წლიდან ამხ. კრუპსკაია რუსეთის სფს რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისრის მოადგილეა, ხელმძღვანელობს მთელ პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობას.

მთელი ამ წლების განმავლობაში ამხ. კრუპსკაია არის კომუნისტური პარტიის პოლიტიკის დაუცხრომელი გამტარებელი კულტურულ ფრონტზე, დაუღალავი მებრძოლი სოციალისტური კულტურისათვის.

ნ. კ. კრუპსკაია სოციალიზმის ქვეყნის დიადი მშენებლობის აქტიური მონაწილეა. იმ ღირსშესანიშნავ დღეებში, როდესაც მიმდინარეობდა მზადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის, მოსკოვის ოლქის სერპუხოვის რაიონის წინასაარჩევნო თათბირზე ამხ. კრუპსკაიამ განაცხადა:

„მე წილად მხვდა უდიდესი ბედნიერება ვიყო ჩვენი ბოლშევიკური პარტიის წევრი, მემუშავნა ამხანაგ ლენინის ხელმძღვანელობით, ვიმუშაო ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით. წილად მხვდა უდიდესი ბედნიერება მენახა, თუ როგორ გადაიქცა სოციალიზმის ქვეყნად ჩვენი ქვეყანა, ბნელი ქვეყანა, ღარიბი ქვეყანა, ცარიზმის, მემამულეებისა და კაპიტალიზმის მიერ ფეხქვეშ გათელილი ქვეყანა. ეს უდიდესი ბედნიერებაა. ახლა, როცა მიხდება დასწრება მთელ რიგ კრებებზე და ვხედავ, თუ როგორ არიან დარაზმული ჩვენი მასები, რა სიყვარულით ეპყრობიან ისინი ჩვენს პარტიას, რა სიყვარულით იგონებენ ისინი ლენინს, რა სიყვარულით ეპყრობიან ამხანაგ სტალინს, ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობას, — ასეთ მომენტებში, ამხანაგებო, განსაკუთრებულ სიხარულს განვიცდი".

და შემდეგ, ილაპარაკა რა ჩვენი ქვეყნის დიად გამარჯვებებზე, რომლებიც მოპოებულია ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, ამხ. კრუპსკაიამ განაცხადა:

„ჩვენ თვალის ჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ სოციალიზმის გამარჯვებებს ჩვენს ქვეყანაში. ჩვენი ხალხი ყველაზე მწვავე სიძულვილს განიცდის იმათ მიმართ, ვინც იბრძვის ლენინ-სტალინის საქმის წინააღმდეგ, იმათ მიმართ ვინც ღალატობს მუშათა კლასის საქმეს. ჩვენი ხალხი ღრმა სიძულვილსა და ზიზღს განიცდის ტროცკისტ - ბუხარინელი ჯაშუშებისა და დივერსანტების მიმართ. სხვა გრძნობა მტრებისადმი ჩვენში არ შეიძლება იყოს".

დაუღალავად მუშაობს ამხ. კრუპსკაია თავისი სამშობლოს კეთილდღეობისათვის. საბჭოთა ხალხის ერთგული შვილი, იგი მთელს თავის ძალღონეს, მთელ თავის ცოდნას ახმარებს ამ ხალხს. იგი ცხოვრობს მშობლიური ქვეყნის ინტერესებით, იმ ქვეყნის ინტერესებით, რომელმაც ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ხორცი შეასხა ვ. ი. ლენინის დიად ანდერძს.

ამხ. კრუპსკაია არის საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი. მშრომელი მასების კომუნისტური განათლების დარგში განსაკუთრებული თავდადებული მუშაობისათვის ამხანაგი კრუპსკაია დაჯილდოებულია ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენებით. (საქდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისათვის

## ვიხილავთ ამხანაგების ვ. მოლოტოვისა და ა. ჟდანოვის მოხსენებათა თეზისებს



საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისათვის თბილისის თამბაქოს ფაბრიკის ჩამწყობ საამქროს კოლექტივმა აიღო ვალდებულება კვარტალური გეგმა გადაჭარბებით შეასრულოს. სურათზე: საამქროს უფროსი ამხ. რ. დემიდოვიჩი უკითხავს მუშებს შესრულების მიმდინარეობის ცნობებს. საქდესის ფოტოქრონიკა

## ერთეული კომუნისტების შესახებ

პარტიის ამჟამად მოქმედ წესდებაში ნათქვამია, რომ „პარტიის წევრად ითვლება ყველა, ვინც აღიარებს პარტიის პროგრამას, მუშაობს მის ერთერთ ორგანიზაციაში, ემორჩილება პარტიის დადგენილებებს და იხდის საწევრო გადასახადს". წესდების ეს მუხლი ფაქტიურად დარღვეულია პარტიის იმ წევრების ...

იქ, სადაც პარტიული ორგანიზაცია არ არსებობს, მუშაობა პარტიული კონტროლის გარეშე ხომ არ უნდა მიმდინარეობდეს. საჭიროა შეტანილ იქნეს წესდებაში პირველადი ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციისათვის მის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ საწარმო-დაწესებულებებისა და კოლმეურნე- ...

... ბის გაძლიერების მიზნით, მიენიჭოს ამ ორგანიზაციებს საწარმოს ადმინისტრაციის მუშაობის კონტროლის უფლება". ჩვენ ვიცით, რომ მთელ რიგ ადგილებზე საწარმოებსა და კოლმეურნეობებში არ არსებობს პირველადი პარტიული ორგანიზაცია.

... 1-2 წლის წინათ გარიცხულსაც, ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია წესდებაში განისაზღვროს პარტიაში აღდგენის შესახებ სააპელაციო განცხადების შეტანის დრო.

**დ. ჟორჟოლიანი**

საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის რაიკომის მდივანი.

## კოლხიდის დაშრობის საკითხები მესამე ხუთწლედში

ამხანაგ ვ. მოლოტოვის მოხსენების თეზისებში იმ დიდ სამელიორაციო სამუშაოთა შორის, რომელიც მესამე სტალინურ ხუთწლედში უნდა დამთავრდეს, შეტანილია კოლხიდის დაშრობის დაწყებულ სამუშაოთა დამთავრება.

კოლხიდის დაბლობს 220.000 ჰექტარი ფართობი უჭირავს, რომლის მეტი ნაწილი უხვი ატმოსფერული ნალექებისა (2.000 მილიმეტრი წელიწადში) და სიდაბლის გამო დაჭაობიანებულია. ეს დაბლობი გადაჭიმულია შავი ზღვიდან სამტრედიამდე და მდ. კოდორიდან ქობულეთამდე.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1931 წლის 31 ოქტომბრის ცნობილ დადგენილებამდე კოლხიდის დაშრობის სამუშაოები ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობდა. ამ დადგენილების შემდეგ ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისა და ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხანაგ ლ. ბერიას განსაკუთრებული მზრუნველობითა და ხელმძღვანელობით კოლხიდის დაშრობის საქმეში დიდი წარმატებები იქნა მოპოვებული. პირველსა და მეორე ხუთწლედებში კოლხიდის დაშრობის სამუშაოებზე დაიხარჯა სულ 52.650 ათასი მანეთი, დაშრობილ იქნა 16.200 ჰექტარი ...

## საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებათა შესახებ

ჩვენი პარტიის, როგორც მმართველი პარტიის, დამრაზმავი როლი დღითიდღე იზრდება. ...

... კვევს საქმეებს და შემდეგ მოახსენებს რაიკომის ხელმძღვანელებს ანდა ბიუროს. ...



თბილისის ტროლეიბუსების ტრესტის სახელოსნოების დირექტორი, ს. ქსოვრელი ტრესტის მოწინავე სტახანოველებთან ერთად, რომლ... კ. პ. (ბ) XVIII ყრილობას. სურათზე — მარცხნიდან-მარჯვნივ: ს. ... ძე და გ. ფალავა.

**გ. გოჩაშვილი**

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი.

## უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკური დოკუმენტები

ამხანაგების ვ. მოლოტოვისა და ა. ჟდანოვის მოხსენებათა თეზისები — სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმისა და საკ. კ. პ. (ბ) წესდებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ უდიდეს მოვლენას წარმოადგენს ჩვენი პარტიის, მთელი ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მე მინდა რამდენიმე სიტყვით ...

ამ მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტების გამოქვეყნებისთანავე რაიონის საწარმოებსა და დაწესებულებებში ფართოდ გაიშალა წინასაყრილობო სოციალისტური შეჯიბრება. მოწინავე ადამიანებმა იკისრეს ახალი საწარმოო ვალდებულებანი XVIII პარტყრილობისათვის ღირსეულად შესახვედრად. წინასაყრილობო სოციალისტურ შეჯიბრებაში ალე- ...

... ნიზატორმა ამხ. ე. ზაქარიაძემ პარტორგანიზაციის დახურულ კრებაზე აიღო ვალდებულება ბოლომდე შეინარჩუნოს სწავლის ფრიადოსნობა და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია სხვა ფაკულტეტების პარტორგანიზატორები. ასეთივე ვალდებულებები აიღეს სტუდენტებმა ს. ჩხაიძემ, ზ. ძნელაძემ და სხვ. წინასაყრილობო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ აგრეთვე მეცნიერ-მუშაკები.

დიდი პოლიტიკური აქტივობით ჩატარდა რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციების დახურული კრებები, რომლებზეც კომუნისტებმა გულდასმით განიხილეს ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისები ...



## რესპუბლიკური ესპანეთი უძლეველია

**ლონდონი**, 23 თებერვალი (საკდესი). „ნიუს ქრონიკლის" [illegible]

## სურსათ-სანოვაგის შეგზავნა რესპუბლიკურ ესპანეთში

**ლონდონი**, 23 თებერვალი (საკდესი). [illegible]

## საფრანგეთის კაპიტულანტური პოლიტიკის შესახებ

**რომი**, 23 თებერვალი (საკდესი). [illegible]

## ლონდონი ისრაფელის [illegible]

**ლონდონი**, 23 თებერვალი (საკდესი). [illegible]

## „ნიუ რიპაბლიკი" მესამე ხუთწლედის შესახებ

ამერიკული ჟურნალი „ნიუ რიპაბლიკი" [illegible]

24 თებერვალი.

## ჩინი კაი-შის სიტყვა

**ჩუნცინი**, 23 თებერვალი (საკდესი). [illegible]

## ჩილის კატასტროფის დანგრევებითი ცნობები

[illegible] ...წყდა. სანტ-იაგოში მიწისძვრის შესახებ არაფერი არ იცოდნენ მანამდე, სანამ ცალკეული რადიომოყვარულები მოახერხებდნენ გადაეცათ მომხდარი კატასტროფის ამბავი. მიწისძვრით მოცული ფართობი 40 ათას კვადრატულ მილს უდრის. დაახლოებით 20 ქალაქი, რომელიც ჩილის დიდ სასოფლო-სამეურნეო და სამთამადნო-საქარხნო ცენტრებს წარმოადგენს, მთლიანად დაინგრა და მიწასთან გასწორდა". ჟურნალი აღნიშნავს, რომ ჯერაც არ არის იმის შესაძლებლობა, რომ ზუსტად გამოირკვეს მიწისძვრით დაზარალებულ პირთა რაოდენობა. უფრო სარწმუნო ცნობათა მიხედვით მოკლულია 50 ათასი და დაჭრილია 60 ათასი კაცი. 700 ათასი კაცი უსახლკაროდ დარჩა. „ჩილის მიწისძვრა, — სწერს შემდეგ ჟურნალი, — უდიდესი იყო იმ უბედურებათაგან, რომელიც კი უნახავს ოდესმე სამხრეთ ამერიკას, და უდიდესი მიწისძვრა იყო 1923 წელს იაპონიაში მომხდარი ცნობილი მიწისძვრის შემდეგ".

დასასრულ ჟურნალი აღნიშნავს, რომ ჩილის მთავრობა და პრეზიდენტი აგირე ენერგიულ ზომებს იღებენ, რათა აღადგინონ დანგრეული რაიონები და დახმარება აღმოუჩინონ მიწისძვრის მსხვერპლთ.

(საკდესი).

## ჩიანო პოლონეთს გაემგზავრა

**ვარშავა**, 23 თებერვალი (საკდესი). [illegible] ...ზავრა. მისი ამალის შემადგენლობაში შედიან ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის დეპარტამენტის დირექტორი, პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორი, ოქმების დირექტორი, საგარეო საქმეთა მინისტრის სამდივნოს შეფი და სხვები. ჩიანოს თან ახლავს აგრეთვე იტალიელ ჟურნალისტთა ჯგუფი.

[illegible] ...სახლეობა 40 ათას კაცისაგან შესდგებოდა. ჩილიანი ჩილის მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო ცენტრია.

300 კაცმა, რომელიც მიწისძვრის დროს თეატრში იყო, ვერ მოასწრო იქიდან გამოსვლა და ისინი თეატრის ნანგრევებში დაიმარხნენ. მიწისქვეშა ბიძგები იმდენად ძლიერი [illegible]



კატალონიიდან ლტოლვილთა ბავშვები, რომლებიც დაჭრილი არიან ფაშისტთა ყუმბარების ნამსხვრევებით საფრანგეთის საზღვრისაკენ მიმავალ ერთ-ერთ გზაზე
საკდესის ფოტოქრონიკა

## ცნობილი ესპანელი პოეტის გარდაცვალება

**პარიზი**, 23 თებერვალი (საკდესი). კოლიურში (აღმოსავლეთ პირენეის დეპარტამენტი) გარდაიცვალა გამოჩენილი ესპანელი პოეტი ანტონიო მაჩადო. მისი სიკვდილი გამოიწვია კატალონიიდან ევაკუაციის დროს განცდილმა გაჭირვებამ და საფრანგეთის ტერიტორიაზე ყოფნის მძიმე პირობებმა.





ოპერა „ტრავიატას" მთავარი როლების შემსრულებლები: ალფრედ—მ. ყვარელაშვილი, ვიოლეტა—მ. ნაკაშიძე, ჟერმონ—რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ს. ინაშვილი.

## ქართველი მწერლები მოსკოვში

**მოსკოვი**, 24 თებერვალი (ბილდაპარატით საქ. კორესპონდენტისაგან). საქართველოს ორდენოსანი მწერლების დიდი ნაწილი უკანასკნელი 2 დღის განმავლობაში გამოემგზავრა თბილისს. მოსკოვში ამჟამად იმყოფებიან გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი და ილო მოსაშვილი. ისინი უახლოეს დღეებში გაემგზავრებიან თბილისს. ორდენოსან მწერალთა პირველი ჯგუფის გამომგზავრების წინ „პრავდის" რედაქციაში შესდგა ქართველი მწერლებისა და პოეტების მიღება.

გიორგი ლეონიძის წინადადებით საბჭოთა მწერლების კავშირის ქართულმა სექციამ გადასწყვიტა მომავალი წლის გაზაფხულზე აღნიშნოს პოეტ დავით გურამიშვილის, ხოლო იმავე წლის შემოდგომაზე საბა-სულხან ორბელიანის იუბილე. მოსკოვში მოეწყობა მათი ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამოები.

## ა. ს. გრიბოედოვის საღამო

27 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბში შესდგება რუსული ლიტერატურის კათედრის საჯარო სხდომა, მიძღვნილი ა. ს. გრიბოედოვის დაღუპვის 110 წლისთავისადმი.

სხდომის პროგრამაშია: პროფ. ს. დანელიას შესავალი სიტყვა, მოხსენებები დოცენტ ანა ნიკოლაძისა — გრიბოედოვი საქართველოში, დოც. გრ. ჯაფარიძისა—გრიბოედოვის შემოქმედება, დოც. კ. ლევიცკისა—გრიბოედოვის ადგილი რუსულ ლიტერატურაში და ი. კ. ენაკოლოფოვისა—გრიბოედოვი და ბატონყმობა (ახალი მასალები).

## კინოთეატრ „რუსთაველის" გახსნა

დღეს იხსნება რუსთაველის პროსპექტზე ახლადაშენებული კინოთეატრი „რუსთაველი". პირველად ნაჩვენები იქნება ორდენოსანი კინორეჟისორის მ. ჭიაურელის ისტორიულ - რევოლუციური ფილმის „დიადი განთიადის" ქართული ვარიანტი.

ფილმი ნაჩვენები იქნება სამ სეანსად. პირველი სეანსი დაიწყება საღამოს 6 საათზე, მეორე—რვაზე და მესამე—ათზე.

## „ტრავიატა"

27 და 28 თებერვალს, ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი მაყურებელს უჩვენებს სეზონის მორიგ პრემიერას — ჯ. ვერდის ოპერა „ტრავიატას".

„ტრავიატა" მსოფლიო საოპერო ლიტერატურის ერთერთი საუკეთესო ნაწარმოებია. მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჯუზეპე ვერდის შემოქმედებაში, როგორც ისეთ ოპერას, რომელიც დაწერილია არა ისტორიულ-რომანტიკულ, არამედ საყოფაცხოვრებო სიუჟეტზე. ოპერას საფუძვლად უდევს ა. დიუმას პიესა „ქალი კამელიებით", რომელიც ამავე სახელწოდების მისივე რომანიდან არის გადმოკეთებული.

მუსიკალურ - დრამატურგიულად „ტრავიატა" უდიდეს ინტერესს წარმოადგენს. მხატვრული რეალიზმის ის ტენდენციები, რომლებიც თავს იჩენდნენ ჯ. ვერდის ადრინდელ ნაწარმოებებში, აქ უფრო მკაფიოდ არის გამოხატული.

„ტრავიატას" სდგამს რეჟისორი გ. ჟურული, დირიჟორობს შ. აზმაიფარაშვილი, მხატვრული გაფორმება ი. ფარაჯანოვისა.

ოპერა წავა შემსრულებელთა ორი შემადგენლობით. ზოგიერთ როლზე დანიშნულია სამი და ოთხი შემსრულებელი.

27 თებერვალს მღერიან: ვიოლეტას — მ. ნაკაშიძე, ალფრედს — მ. ყვარელაშვილი, ჟერმონს—რესპ. დამს. არტ. სანდრო ინაშვილი.

28 თებერვალს: ვიოლეტას — ნ. ხარაძე, ალფრედს — გ. ლომიძე, ჟერმონს — ვოკალისტთა საკავშირო კონკურსის ლაურეატი დ. გამრეკელი.

შემდგომ სპექტაკლებში ალფრედის როლს შეასრულებს აგრეთვე ახალგაზრდა მომღერალი ნ. ბოკუჩავა, ხოლო ჟერმონისას — გ. ვენაძე და ა. ბუთხუზი.

## ახალი საბავშვო ბაღი ახალციხეში

**ახალციხე**, (საქდესი). საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XVIII წლისთავის დღეს ახალციხეში გაიხსნა სანიმუშო საბავშვო ბაღი, რომლის შენობა ახლად არის აგებული.

შენობის აგებაზე დახარჯულია 158 ათასი მანეთი.

## უკრაინის სამომხმარებლო კოოპერაციის დელეგაცია თბილისში

უკრაინის სამომხმარებლო საზოგადოებათა კავშირმა — „უკოოპსპილკამ" სოცშეჯიბრებაში გამოიწვია საქართველოს სამომხმარებლო საზოგადოებათა კავშირი—„ცეკავშირი".

სოცშეჯიბრების ხელშეკრულების გასაფორმებლად 24 თებერვალს თბილისში ჩამოვიდა „უკოოპსპილკას" დელეგაცია, რომელსაც ვაგზალში საზეიმო შეხვედრა მოუწყეს.

დელეგაცია „ცეკავშირის" მუშაკთა თანხლებით გაემგზავრება სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში, ზუგდიდში, ბორჯომსა და გურჯაანში, სადაც მონაწილეობას მიიღებს საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის სტახანოველთა სარაიონთაშორისო შეკრებებზე.

## საზეიმო სხდომა მწერალთა კლუბში

24 თებერვალს საქ. საბჭოთა მწერლების კლუბში შესდგა მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის XXI წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 18 წლისთავის აღსანიშნავი საზეიმო საღამო.

საღამო გახსნა პოეტმა ს. ეულმა. წითელი არმიის XXI წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მნიშვნელობაზე მოხსენება გააკეთა ა. ქეიშვილმა, მოხსენების შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ დ. ბენაშვილი („საბჭოთა საქართველოს ქართველი მწერლების შემოქმედებაში") და გ. ნატროშვილი („წითელი არმია მხატვრულ ლიტერატურაში").

პოეტებმა ა. აბაშელმა, კ. კალაძემ, გ. კაჭახიძემ, გ. ქუჩიშვილმა, ი. გრიშაშვილმა, ს. ეულმა, ა. გომიაშვილმა, კ. ბობოხიძემ, მარიჯანმა, ი. ხოშტარიამ, მ. ბარათაშვილმა, გ. აბაშიძემ და სხვ. წაიკითხეს საკუთარი ლექსები.

## ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში

ყოველდღიურად ტარდება კონსულტაცია მარქსიზმ-ლენინიზმის, საერთაშორისო და სხვა პოლიტიკურ საკითხებზე პროპაგანდისტებისათვის, მომხსენებლებისათვის, აგიტატორებისა და იმ ამხანაგებისათვის, რომლებიც შეუდგნენ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" დამოუკიდებლად შესწავლას.

კონსულტაცია ტარდება დღის 10-დან 4 საათამდე და საღამოს 8-დან 11 საათამდე ქართულ და რუსულ ენებზე.

კონსულტანტთა ტელეფონები: 3—18—46 და 3—61—68.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

# ბოლშევიკთა მე-18 ყრილობას წარმატებებით შევეგებებით

**ოთ. თოდაძე**
საქ. სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარი

მესამე სტალინური ხუთწლიანი გეგმა, რომელსაც მე-18 პარტიული ყრილობა განიხილავს, ითვალისწინებს მშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების ერთნახევარჯერ-ორჯერ გადიდებას. ამხ. მოლოტოვის მოხსენების თეზისებში სახალხო ჯანმრთელობის დაცვას განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი.

ეს გარემოება ჩვენ, სახალხო ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებს, უდიდეს პასუხისმგებლობას გვაკისრებს. ამასთან დაკავშირებით ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მუშაობა ისე უნდა გარდაიქმნას, რომ ის სავსებით აკმაყოფილებდეს სოციალიზმის მშენებელთა გაზრდილ მოთხოვნებს.

საქართველოს ჯანსახკომს განზრახული აქვს თვალსაჩინო საქმეებით აღნიშნოს ბოლშევიკთა მე-18 ყრილობის გახსნა. ამ მიზნით თბილისში ტრამვაის პარკთან გაიხსნება 60-საწოლიანი საბავშვო ბაგა, თბილისის რაიონში—2 ბაგა. საბავშვო ბაგები გაიხსნება აგრეთვე აფხაზეთში, ფოთში, ბორჯომში, ქუთაისში, ჩხარსა და თიანეთში. თბილისის ლენინისა და ორჯონიკიძის რაიონებში გავხსნით ბავშვთა კონსულტაციებს. საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის უკეთ მომსახურების მიზნით — საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში გაიხსნება 60 საბავშვო ბაგა 1.250 საწოლით. რესპუბლიკის საბავშვო სანატორიუმებში გავაგზავნით 250 ბავშვს. მოვაწყობთ მე-18 პარტიული ყრილობის სახელობის ხუთ ბრიგადას პროფესორებისა და კვალიფიციური ექიმების შემადგენლობით. ეს ბრიგადები შეისწავლიან საბავშვო ბაგებსა და კონსულტაციებს, გამოასწორებენ შემჩნეულ ნაკლოვანებებს.

ყრილობის დღეებში ბორჯომში, გურჯაანში, კასპში, ლაგოდეხში, ყარაიაში, ჩხოროწყუში, ქუთაისში, ჭიათურაში, ლანჩხუთში, ზესტაფონში, მახარაძეში და სხვ. გაიხსნება საკოლმეურნეო სამშობიარო სახლები. ამას გარდა ფოთსა, ყვარელსა და სამტრედიაში გავხსნით სადეკრეტო სამშობიარო სახლებს. ეს საუკეთესო ილუსტრაცია იქნება ამხ. მოლოტოვის მოხსენების თეზისების იმ ადგილისა, სადაც დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვაზეა ლაპარაკი.

ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა ენერგიული მუშაობის შედეგად ჩვენ შევძელით ეპიდემიების ალაგმვა. ამიტომ ამ მხრივ ჩვენ მხოლოდ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს გავატარებთ.

ყრილობის მოწვევასთან და ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისების განხილვასთან დაკავშირებით მედიცინის მუშაკები კისრულობენ გადაჭრით გააუმჯობესონ ბრძოლა მალარიის წინააღმდეგ. ამ მიზნით ყრილობის გახსნამდე საქართველოში შესწავლილ - გამოკვლეული იქნება 100 ათასი კაცი, გადავამზადებთ 20 ექიმს, 50 ენტომოლოგსა და 30 უფროს ბონიფიკატორს. თელავის რაიონის სოფ. ქისტაურში დავაშრობთ 115 ჰექტარ ჭაობს, დავიწყებთ ჭაობების დაშრობას სოფ. გორაში (ხაშურის რაიონი), ტაბაწყურში, ხიდისთავში (გორი) და კურდღელაურში (თელავის რაიონი). სამალარიო სადგურებს გავხსნით აბულაღის, გეგეჭკორისა და დუშეთის რაიონებში, ხოლო ტროპიკულ სადგურს წალენჯიხაში. ამას გარდა სხვადასხვა რაიონებში მალარიასთან წარმატებითი ბრძოლის მიზნით გაიგზავნება სამალარიო რაზმები.

ცნობამ მე-18 ყრილობის მოწვევის შესახებ უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა სამკურნალო - პროფილაქტიკურ ქსელში. ჯანსახკომის ცენტრალურმა კლინიკურმა ინსტიტუტმა გამოყო ცალკე ოთახები სურდო-კაბინეტისათვის, ცენტრალური გათბობისათვის ამუშავდება ორთქლისა და წყლის ახალი ქვაბები. საბოლოოდ დამუშავდება 10 სამეცნიერო ნაშრომი საბჭოთა მედიცინის უკანასკნელი მიღწევების საფუძველზე.

მე-18 ყრილობის აღსანიშნავად „სამედიცინო მომარაგება" აწყობს რაიონებისათვის გასაგზავნად სასწრაფო დახმარების 10 კარეტას, მაგარ და რბილ ინვენტარს 2.500 საწოლისათვის, დაამზადებს ხუთ-ხუთ ათას ცალ მავთულბადესა და ფანჯრების ასაფარებელს, გასახსნელად გამზადებულ საკოლმეურნეო სამშობიარო სახლებს მოამარაგებს სათანადო ინვენტარით.

სანიტარულ - ჰიგიენურ ინსტიტუტში გაიხსნება ანაერობული და ჰაერის გამოსაკვლევი ლაბორატორიები და სხვ.

მე-18 პარტიული ყრილობის სახელობის სოციალისტურ შეჯიბრებაში უკვე ჩაბმულია საქართველოს ყველა რაიონის ჯანმრთელობის განყოფილებები. ისინი კონკრეტულ ვალდებულებებს კისრულობენ და, რაც მთავარია, განსაკუთრებული, აქამდე უჩვეულო ინტერესით იწყებენ მუშაობას ნაკისრ ვალდებულებათა განხორციელებისათვის. თბილისის ლენინის, სტალინის, ორჯონიკიძის, კიროვის, და სხვა რაიონებში მედიცინის მუშაკები ენერგიულად იბრძვიან, რათა გამარჯვებებით შეხვდნენ მე-18 პარტიულ ყრილობას.

ორდენოსანი საქართველოს მედიცინის მუშაკები ღირსეულად შეხვდებიან ბოლშევიკთა მე-18 ყრილობას.


**რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი**
1938-39 წ. სეზონი

| 27/II წარმოდგენა 127 | 28/II წარმოდგენა 128 | 1/III წარმოდგენა 129 |
| --- | --- | --- |
| თოფიანი კაცი | არსენა | არსენა |

სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

**მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი**

| | |
| --- | --- |
| 27/II | უბრალო ბოგონა |
| 28/II | ურიელ აკოსტა |
| 1/III | კოლმეურნის ქორწინება |

სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 ს-მდე.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

**თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახ. თეატრი** 1938-39 წ. სეზონი.

| 26/II | 27/II | 28/II |
| --- | --- | --- |
| მუდმ. ადგ. ტალ. № 106 | მუდმ. ადგ. ტალ. № 107 | მუდმ. ადგ. ტალ. № 108 |
| რიგოლეტო | პრემიერა ტრავიატა | ტრავიატა |

სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

**სახცირკი** ტელ. 3-11-44 **დღეს**
**დიდი წარმოდგენა**
ფართო მრავალფეროვანი პროგრამა. მონაწილეობენ საცირკო ხელოვნების საუკეთესო ოსტატები.
ატრაქციონი **ალი-ვად** (მსახ. ვადიმოვი) და **ვერა მიროვა** ასისტენტებით.
დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.
სალარო დღის 12-დან 2 საათამდე და 5 საათიდან.

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს ასპირანტების კონკურსს**
**შემდეგ კათედრებზე:**
1. სამხედრო ჰიგიენის კათედრა
2. სანქიმთავდაცვის „
3. სანტაქტიკის „
4. საჰაერო თავდაცვის „
5. მედიკო-სანიტარულ სამსახურის ორგანიზაცია და ტაქტიკის კათედრა.
6. ჰისტოლოგიის კათედრა
7. პათანატომიის კათედრა
8. სასამართლო მედიცინის კათედრა.

კონკურსში მონაწილემ უნდა წარმოადგინოს განცხადება, უმაღლესი სკოლის დამთავრების მოწმობა, სტაჟი, ავტობიოგრაფია და ფოტოსურათი მედინსტიტუტის კანცელარიაში, ლუნაჩარსკის, 12.
განცხადების შემოტანის უკანასკნელი ვადაა 11 მარტი. 536

**კულტკომისიების, ქარხკომების, ადგილკომების, კლუბების, წითელი კუთხეების, პარტიული, საზოგადოებრივი, სამეცნიერო ორგანიზაციებისა და სასწავლო დაწესებულებათა**
**საყურადღებოდ**
**სსსრ განათლების სახ. კომისარიატთან არსებული**
**ცენტრალური-სალექციო-საექსკურსიო ბიურო აწარმოებს:**
**ლექციებს:** როგორც ეპიზოდურს, ისე ციკლურს მსოფლიო და საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიის, საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის, თავდაცვის, ფილოსოფიის, პედაგოგიკის, რელიგიის, ხელოვნების, ლიტერატურის და სხვა საკითხებზე.
ვრცელი თემატიკის გაცნობა შეიძლება ცენტრალურ სალექციო-საექსკურსიო ბიუროში.
ლექციებს კითხულობენ კვალიფიციური ლექტორები — პროფესორები, დოცენტები და სხვა სპეციალისტები.
**ექსკურსიებს:** მუზეუმებში, გამოფენებზე და სხ.
ისტორიული და რევოლუციური ძეგლების შესასწავლად, ლექციების თემატიკასთან დაკავშირებით.
საიუბილეო და სადღესასწაულო დღეებისათვის ცენტრ. სალ.-საექს. ბიურო ატარებს სპეციალურ ლექციებს, მოხსენებებს, ექსკურსიებს.
მიიღება წინასწარი შეკვეთები
**მისამართი:** თბილისი, მთავრობის სასახლე, მე-6 სართული, ოთახი № 30.
ტელეფონები 3—54—02,
3—55—21. 534

თბილისის **სტალინის** სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაუსწრებელ პედ. სექტორი
**აცხადებს,**
**რომ დაუსწრებლებს სისტემატიურად ეგზავნებათ საკონტროლო დავალებები და პროგრამები, რასაც ზოგიერთი დაუსწრებლები ვერ ღებულობენ სწორი მისამართის უქონლობის გამო.**
ამიტომ ყველა ის დაუსწრებლები, რომელთაც არ მიუღიათ პროგრამები და საკ. დავალებები, ვალდებული არიან ამის შესახებ აცნობონ დაუსწრებელ პედ. სექტორს და გამოგზავნონ თავიანთი სწორი მისამართი, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ საკითხზე პრეტენზია არ იქნება მიღებული მხედველობაში.
73 **დირექცია.**

თანახმად წევრთა საერთო კრების 1939 წლის 15 თებერვლის დადგენილებისა (ოქმი № 3) ცხადდება ცაგერის სარეწაო არტელ **„ფეხსაცმლის" ლიკვიდაცია.**
პრეტენზიები მიიღება დღიდან გაზეთში გამოცხადებისა თხუთმეტი დღის ვადაში, რის შემდეგ არავითარი პრეტენზიები აღარ იქნება მიღებული.
74 **ლიკვიდკომი.**

**თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი სთხოვს ყველა იმ პირს, რომლებმაც დაამთავრეს 1938 წლამდე თ. ს. უ. ასპირანტურის სრული კურსი**
და დისერტაცია არ დაუცავთ, შემოიარონ სამეცნიერო ნაწილში რეფერენტ ამხ. ეკ. გველესიანთან, ან წერილობით გვაცნობონ თავიანთი სამუშაო ადგილი და ბინის მისამართი.
თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო
537 უნივერსიტეტის რექტორი **დ. უიფშიძე.**



**მისამართი:** რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, **ტელეფონები:** პასუხისმგებელი მდივნის — 3—08—67, პ. მგ. მდივნის მოადგილისა — 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების — 3—73—24, პ. მგ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04 ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი: კამოს ქ. № 68 მთავლიტის რწმუნებული ზ—201